ხელშეკრულება № 45
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON160000033)

ქ.თბილისი 28.09.2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჟიოს საჯარო სკოლა (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ ჟანა ახალკაციშვილის -სახით და მეორეს მხრივ, შპს "პენსან ჯორჯია" (შემდგომში- მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიგა გოზიანიძის სახით"სახელწიფო შესყიდვების შესახებ "საქართველოს კანონის 20² მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 20 მარტის #2 ბრძანებით დამტკიცებული A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების აგრეთვე „2016 წლის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშვალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 დეკემბრის #2585 განკარგულების საფუძველზე. საბეჭდი ქაღალდის 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (№CON160000033) (შემდგომში-კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

მუხლი 1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში
1.6 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.7 „ფორსმაჟორი" - ,,მხარეები" -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა" და/ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით 2016 წლის ასიგნების ფარგლებში ა/4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის (CPV კოდი-**30197630**) სახელმწიფო შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.
2.2. ხელშეკრულებით გათავლისწინებული საგნის აღწერა და რაოდენობა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საგნის ღირებულება შეადგენს 412,5 (ოთხასთორმეტი ლარი და 50თეთრი) ლარს.

. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადის და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 4 საქონლის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საბეჭდი ქაღალდის მიტანა საკუთარი ხარჯებით მხოლოდ ქ. თბილისის ტერიტორიაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახელებულ მისამართზე (ქალაქი თბილისი), მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა და თვეში ერთხელ. "რაც შეეხება რეგიონებს, შემსყიდველმა საკუთარი ხარჯებით უნდა გაიტანოს აღნიშნული ორგანიზაციიდან საქონელი."
4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი. შემსყიდველის მხრიდან მიღება- ჩაბარების აქტზე ხელისმომწერი პირია ჟანა ახალკაციშვილი.

4.3 საქონელი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.
4.4 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბეჭდი ქაღალდის მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება სასაქონლო ზედნადების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა
ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად არაუგვიანეს 2011 წლის 30 სექტემბრამდე შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნიდან (წარედგინოს წერილობითი ფორმით) 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
გ) უზრუნველყოს საბეჭდი ქაღალდის მიტანა საკუთარი ხარჯებით მხოლოდ ქ. თბილისის ტერიტორიაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახელებულ მისამართზე, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა და თვეში ერთხელ. იმ შემთხვევაში, თუ ქ. თბილისის ტერიტორიაზე ერთჯერადად მისაწოდებელი საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა ნაკლებია 25 შეკვრაზე, მიმწოდებელი არ არის ვალდებული საბეჭდი ქაღალდი მიაწოდოს საკუთარი ხარჯებით.
დ) პასუხი აგოს საბეჭდი ქაღალდის ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.
5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
5.3 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.
ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.
გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.
5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას.

სატენდერო კომისიას მიმართოს, შესაბამისი დასაბუთებით, საბეჭდი ქაღალდის ხარისხის გაუარესების თაობაზე, კომისიას უფლება აქვს მიმწოდებელს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი ორგანიზაცია.

გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

დ) ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის მთლიანი ღირებულების 1%-ს.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სკოლის ბუღალტერი ნინო დანელაშვილი

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესყიდული საქონლის ხარისხის შემოწმებას.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. ინპექტირების მიზნით გამოყენებული საკუთარი ან მოწვეული პერსონალის შრომის ან ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

6.4. ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაღვევისათვის.

7.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება, სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

7.2 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.05%.

7.4 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბეჭდი ქაღალდის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

7.5 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე

მუხლი 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
10.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
10.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან 2 (ორი) პირი შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იქნეს შესრულებული ქართულ ენაზე.
10.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

მუხლი 11. შეტყობინება

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინერე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
11.2. ყველა სახის შეტყობინება საქონლის მოთხოვნა(საქონლის შეკვეთა) შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალური წერილის საფუძველზე მისამართზე ქ.თბილისი თამარ მეფის 18 ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე pensan.georgia@gmail.com შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

დირექტორი	დირექტორი
ახმეტის მუნიციპალიტეტი, ოჟიოს საჯარო სკოლა	----------
ს/კ 224627946	გიგა [illegible]
სკოლის დირექტორის მ/შ	
ჟანა ახალკაციშვილი: ----------	

დანართი №1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

№	დასახელება და ტექნიკური მაჩვენებლები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულისფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი-Ballet Universal ; მწარმოებელი ქვეყანა–რუსეთი; გრამაჟი–81(გრ/მ2) სისქე(UM)-103; სითეთრე (CIE)154%; გაუმჭვირვალობა– 94%; სიკაშკაშე –96%; შეკვრაში ფურცლების რაოდენობა –500;	შეკვრა (500 ფურცლიანი)	75	5,5	415,5
სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით					412,5

შესყიდვის ობიექტია პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი:

შემსყიდველი

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელ ოჟიოს საჯარო სკოლა

ს/კ 224627946

591012812

დირექტორის მ/შ ჟანა ახალკაციშვილი

მიმწოდებელი :

შპს"პენსან ჯორჯია"

ს/კ 404870760

ქ.თბილისი. ბახტრიონის 24 ბ.96

ვი თი ბი ბანკი
ა.ნ GE35VT6500000055555555

UGEBGE22

ტელ:235584[illegible]99541541

დირექტორ[illegible]ბიანიძე

მიღება–ჩაბარების აქტი №

29.09.2016 წელი

ქ.თბილისი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჟიოს საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ ჟანა ახალკაციშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „პენსან ჯორჯია“ წარმოდგენილი მისი დირექტორის გიგა გობიანიძის სახით ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 29 სექტემბერს პირველმა მიიღო, ხოლო მეორემ ჩააბარა 2016 წლის #45 გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი რომლის ჯამური ღირებულებაა 412,5 ლარი.

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი(ლარი)	ჯამი(ლარი)
ქაღალდი A4	75 (შეკვრა)	5,5	412,5

შპს „პენსან ჯორჯია“

გიგა გობიანიძე

დირექტორი

შემსყიდველი

ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელ ოჟიოს საჯარო სკოლა

ს/კ 224627946

591012812

დირექტორის მ/შ ჟანა ახალკაციშვილი

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 411570

თარიღი: 2016 წლის 04 10, სამშაბათი

გადამხდელის დასახელება:	სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჟიოს საჯარო სკოლა
ანგარიში (დებეტი):	GE63LB0121135400361000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:	ოჟიოს საჯარო სკოლა
საიდენტიფიკაციო კოდი:	
საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:	
მიმღების დასახელება:	შპს ,,ჰენსან ჯორჯია"
საიდენტიფიკაციო კოდი:	404870760
ანგარიში (კრედიტი):	GE35VT6500000055555555
მიმღების ბანკი:	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი:	UGEBGE22
გადახდის დანიშნულება:	საბეჭდი ქაღალდის ღირებულება

ხელმოწერა:

8.ს.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

GEL
GEL
412.50
თანხა სიტყვიერად
ოთხას თორმეტი GEL და 50

ბანკის აღნიშვნები

ბანში შემოსვლის თარიღი: 04.10.2016

ხელმოწერა:

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0264495843

2	29/09/2016

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	12:07:08

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს პენსან ჯორჯია	404870760
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჟიოს საჯარო სკოლა	224627946
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	თბილისი თამარ მეფის 18

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	ახმეტა სოფ.ოჟიო

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საზოგადოებრივი ტრანსპორტი

ტრანსპორტირების სახე

10	X	
	სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი	მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	საოფისე ქაღალდი ა4, 80 გრ. (500 ფ.)Ballet Universal A4.C+ უნი-500	05680	შეკვრა	75.0000	5.5000	412.5000

13	412.5 - ოთხას თორმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 29/09/2016, 12:07:44